მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.14.16.015.440**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882020223698 - 02/04/2020 18:30:47

მომზადების თარიღი
03/04/2020 12:57:37

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ვაკე		
01	**14**	**16**	**015/440**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფარდობის , II, III, IV მ/რ-ის მიმდებარედ (ნაკვეთი N60); ქალაქი თბილისი , ქუჩა ელგუჯა ამაშუკელი , შესახვევი I , N 34-ის მიმდებარედ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 962.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.14.16.015.064; 01.14.16.015.324;**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019726828 , თარიღი 05/09/2019 12:15:23
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/09/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:12/09/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ხელშეკრულება სანაცვლო შესრულების პირობით საკუთრების გადაცემის შესახებ N LT4260819 , დამოწმების თარიღი:05/09/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "ამშენებელი" , ID ნომერი:405204504

მესაკუთრე:
შპს "ამშენებელი"

აღწერა:

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019726828 თარიღი 05/09/2019 12:15:23	**იპოთეკარი: ნინელი სოხაძე** P/N: 01010007046; საგანი:დაზუსტებული ფართობი: 628.00 კვ.მ.; **ხელშეკრულება სანაცვლო შესრულების პირობით საკუთრების გადაცემის შესახებ N Lთ4260819 , დამოწმების თარიღი:05/09/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/09/2019	

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016806976 თარიღი 22/11/2016 14:49:41	საგანი:მიწის ნაკვეთი 112 კვ.მ. დატვირთულია სერვიტუტის უფლებით , მომიჯნავე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.043) სასარგებლოდ; **სერვიტუტის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი22/11/2016, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/11/2016	

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019726828 თარიღი 05/09/2019 12:15:23	**გამყიდველი: ნინელი სოხაძე** P/N: 01010007046; საგანი:დაზუსტებული ფართობი: 628.00 კვ.მ.; მხარეები თანხმდებიან რომ მყიდველი არ განკარგავს (მათ შორის და არამხოლოდ არ გააასხვისებს, არ გადასცემს ნებისმიერ მესამე პირს სარგებლობის უფლებით) მიწის ნაკვეთს; ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების პირობით;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/09/2019	**ხელშეკრულება სანაცვლო შესრულების პირობით საკუთრების გადაცემის შესახებ N Lთ4260819 , დამოწმების თარიღი:05/09/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

N 12/1-197 13 03 2019

საქართველოს მოქალაქეს
ბ-ნ ანტონ ზურაბიშვილს

ბატონო ანტონ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-სა და თქვენს შორის 2019 წლის 05 მარტს გაფორმებული ფასიანი მომსახურების შესახებ №ფმ-2/173 ხელშეკრულების შესაბამისად, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს სპეციალისტებმა ჩაატარეს, ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მ/რ-ნის მიმდებარედ და ელგუჯა ამაშუკელის შესახვევი I, №34-ში მოქ. **ნინელი სოხაძისა** და **ზვიად ზაკუტაშვილის** საკუთრებაში არსებული საერთო ფართობით 962 კვ.მ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.064; 01.14.16.015.324) საკონსულტაციო გეოლოგიური კვლევები და დანართის სახით წარმოგიდგენთ, შესაბამის ვიზუალურ საინჟინრო - გეოდინამიკურ დასკვნას.

დანართი: 3 გვ.

პატივისცემით,

სააგენტოს უფროსი **ანდრო ასლანიშვილი**

დ.აღმაშენებლის გამზ.150, 0112, თბილისი, საქართველო
150 D.AGMASHENEBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA
Tel.: +995 32 2439503 Fax: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის II, III და IV მ/რ-ის მიმდებარედ და ელგუჯა ამაშუკელის I შესახვევი №34-ში ნინელი სოხაძისა და ზვიად ზაკუტაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების არსებული მდგომარეობის შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და მოქ. **ანტონ ზურაბიშვილს** შორის გაფორმებული, **2019 წლის 05 მარტის № ფმ - 2/173** ხელშეკრულების და სააგენტოს ხელმძღვანელობის დავალების საფუძველზე, ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის წამყვანმა სპეციალისტებმა **ლ. ქებულაძემ** და **ზ. მაისურაძემ,** 2019 წლის 7 მარტს, ადგილზე გასვლით მოახდინეს ნუცუბიძის II, III და IV მ/რ-ის მიმდებარედ და ელგუჯა ამაშუკელის I შესახვევი №34-ში ნინელი სოხაძისა და ზვიად ზაკუტაშვილის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება. დათვალიერების შედეგად დადგინდა შემდეგი:

აღნიშნული მიწის ნაკვეთები, რომელთა ჯამური ფართობი 962 მ^2 -ია, წარმოადგენს ნინელი სოხაძის და ზვიად ზაკუტაშვილის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას **(საკადასტრო კოდები 01.14.16.015.064; 01.14.16.015.324).** მორფოლოგიურად საკვლევი უბანი წარმოადგენს სამხრეთული ექსპოზიციის მქონე ფერდობს, რომლის ჰიფსომეტრიული ნიშნული ყველაზე მაღალ წერტილში 598 მ-ია, ხოლო ყველაზე დაბალში 583 მეტრი. რელიეფის ზედაპირი ძლიერ სახეცვლილია ანთროპოგენური ფაქტორებით. ტერიტორია დათვალიერების მომენტისთვის აუთვისებელია. მის დასავლეთ მხარეს, სამეზობლო ნაკვეთი შემოღობილია და საზღვრის გასწვრივ მშენებლობისათვის მოწყობილია ღრმა ქვაბული **(სურ. 1).**

გეოლოგიურად ფერდობი აგებულია ოლიგოცენური ასაკის ნალექებით **(P_3),** ლითოლოგიურად წარმოდგენილი საშუალო და თხელშრეებრივი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით (დომინირებს ქვიშაქვები, რომელთა წილი დაახლოებით 90%-ია), რომლებიც ფერდობის უმეტეს ნაწილში ღიად გამოდიან ზედაპირზე. შრეების წოლის ელემენტები ფერდობის დახრილობის თანხვედრილია. ისინი ზედაპირზე

გამოფიტულია, წარმოქმნილია განივი ღრმა ნაპრალები, რომელთა გასწვრივ ხდება შრეების ჩამოცურება **(სურ. 2)**. შრეების მოწყვეტის და დასრიალების ძირითადი მიზეზი, ცენტრალური საავტომობილო გზის გაყვანის მიზნით, ფერდობის, ანუ ქვიშაქვების შრეების ძირების ჩამოჭრა უნდა მივიჩნიოთ, რომლის შედეგად სახეზეა 1.0-1.5 მეტრი სიმძლავრის ტექნოგენური კლდეზვავური ტიპის მეწყერი, 35 მეტრი სიგანის ენური ნაწილით გზის ვაკისის გასწვრივ.

საკვლევი უბნის დასავლეთით სახლის ასაშენებლად ამოღებულ ქვაბულში ფიქსირდება ანალოგიური ტიპის, შესაბამისი დახრილობის მქონე ძირითადი ქანები, რომლებიც ზედაპირზე გამოფიტული და ძლიერ ნაპრალოვანია. კლდოვან ფერდობზე გრუნტის წყლების ფილტრაციული გამოსავლის კერები ჩვენს მიერ არ დაფიქსირებულა.



სურ. 1



სურ. 2

შეფასებული უბნის ფარგლებში საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-გააქტიურების ნიშნები ბუნებრივი ფაქტორებით არ ფიქსირდება, თუმცა გასათვალიწინებელი იქნება შრეების დახრილობა, რომლებიც ფერდობის დახრილობის თანხვედრილია.

პროექტირების ფაზაზე უნდა შესაფასდეს ქვაბულის ფერდოების მდგრადობა, რაც მშენებლობის პროცესში მაღალი რისკის შემცველია და აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ბუნებრივ პირობებში ფერდობი მდგრადია და ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მშენებლობისათვის იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში. ს.ნ და წ. 1.02.07-87 - ის დანართ 10-ის თანახმად

საკვლევი ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით განეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით, ქ. თბილისი და შესაბამისად საკვლევი ტერიტრია მიეკუთვნება **8 ბალიანი** სეისმური აქტივობის ზონას (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1 -1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი სამშენებლო ნორმებისა და წესების - ,,სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09) დამტკიცების შესახებ).

აღნიშნული დასკვნა არ წარმოადგენს საფუძველს შენობა-ნაგებობების დაპროექტება-მშენებლობისთვის, რომელსაც როგორც წესი წინ უნდა უძღოდეს ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების სრული დაცვით განხორციელებული დეტალური საინჟინრო კვლევები.

გეოლოგიის დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე **გმილ წერეთელი**

შემსრულებლები:
გეოლოგიის დეპარტამენტის
სტიქიური პროცესების, საინჟინრო-
გეოლოგიის და გეოეკოლოგიის სამმართველოს
წამყვანი სპეციალისტები **ზეინალ მაისურაძე**

ლევან ქებულაძე

შეთანხმებულია:
გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი **მერაბ გაფრინდაშვილი**

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 6 20 01597511

14/07/2020

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2020 წლის 13 ივლისის N60-01201953189 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი (ნაკვეთი N60), ნუცუბიძის მე-2, მე-3 და მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა I შესახვევი N34-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.16.015.440) მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურულ პროექტზე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ **2020 წლის 10 იანვარს N MIA 22000061332** წერილით გაიცა **შესაბამისობის** დასკვნა და მიეცათ **სამ თვიანი** ვადა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტების წარმოსადგენად. ამჟამად წარმოდგენილ დაპროექტების დოკუმენტაციაში და განმარტებით ბარათში ასახული მცირედი კორექტირებებით არ დარღვეულა ხანძარსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების მოთხოვნები.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge